საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „უნივერსალი“ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. თელეთის ტერიტორიაზე გეგმავს მცირე ზომის ცხოველთა სასაკლაოს მოწყობასა და ექსპლუატაციას. სასაკლაოს ტერიტორიაზე მოხდება დღეში დაახლოებით 60-70 სული ღორისა და 40 სული რქოსანი პირუტყვის დაკვლა, რაც წელიწადში შეადგენს 21 000 სულ ღორსა და 12 000 რქოსან პირუტყვს.

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-II დანართის, მეშვიდე პუნქტის, 7.6 ქვეპუნქტის შესაბამისად, ცხოველთა სასაკლაოს მოწყობა და ექსპლუატაცია, სადაც დღე-ღამეში 30 ან მეტი ცხოველი იკვლება ექვემდებარება სკრინინგის ანგარიშის მომზადებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „უნივერსალმა“ 2020 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რის შედეგადაც მინისტრის 2020 წლის 13 ნოემბრის N 2-1053 ბრძანებით, აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლის შესაბამისად, განსახილველად და შესაბამისი სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით წარმოგიდგენთ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. თელეთის ტერიტორიაზე შპს ,,უნივერსალის“ ცხოველთა სასაკლაოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშს.

დანართი: სკოპინგის ანგარიში 1 ეგზ., სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია შეიფ ფაილებთან ერთად.

პატივისცემით,

ლაშა შინდელიშვილი

შპს „უნივერსალის“ დირექტორი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 15224
"25" 08 2021